დავით ასლანიშვილი

Tuscia/Italy

„ეტრუსკების უძველესი ცივილიზაციის გული - ქალაქი თარქვინია, ქრისტიანობის ერთ-ერთი გასაოცარი ადგილი - ქალაქი ვიტერბო და იტალიის უმშვენიერესი ქალაქი - ფლორენცია.. ყოველივე ამასთან გაცნობა შესაძლებელი გახდა 2017 წლის შემოდგომაზე კავკასიის უნივერსიტეტისა და ტუშას უნივერსიტეტის ერაზმუსის პროგრამის ფარგლებში. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ლექცია - სემინარის წარდგენა „მონეტარული პოლიტიკისა და ცენტრალური ბანკების როლის თაობაზე", გაიმართა საკმაოდ აქტიური დისკუსია ევროპის ცენტრალური ბანკის, აშშ-ს ფედერალური სარეზერვო ბანკის, იაპონიის ცენტრალური ბანკის პრობლემებზე და რეგიონალური ცენტრალური ბანკების მოქმედებაზე. გაანალიზებულ იქნა ფინანსური კრიზისის მიზეზები და მისი მიმდინარეობა საბანკო სექტორში.

გაზიარებულ იქნა სასწავლო გეგმა და სიახლეები აკადემიური პერსონალთან. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო კავკასიის უნივერსიტეტისა და ტუშას უნივერსიტეტის საერთაშორისო დეპარტამენტებს კარგად ორგანიზებული და დაგეგმილი გრაფიკისთვის, რამაც შესაძლებელი გახადა ამ პროგრამის მაღალი ხარისხი და წარმატება".